„ფოტო და ფანტაზია"

1920

№ 1 ფასი 10 მანეთი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

„თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი — 10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. ❧ ხუთშაბათი, იანვრის 1 ❧ გამოცემა 1920 წ.

მ. საფ.-აბაშიძისა

ვასო აბაშიძე

ეფ. მესხი



ან. თ-წერეთლისა

„ჯეჯილ ს" რედაქ. გამომც. „ჯეჯილის" არსებობის 30 წ. შესრულების გამო.

დ. კლდიაშვილი

მწერალი, — მისი იუბილეს გამო, რომელიც ამ მოკლე ხანში გაიმართება თბილისში.

კარლო ჩხეიძე
დამფუძნებელ კრების
დამჯდომარე

ნოე ჟორდანია
მთავრობის თავმჯდომარე
ერის ბელადი

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

(სურათი გადაღებულია ბახმაროზე)

5892

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲐᲙᲐᲓ. Ა. ᲒᲐᲠᲘᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ
Библиотека-Музей имени Акад. И. Грушевского
Академия наук Г. С. Р.

მიიღება ხელის მოწერა 1920 წ.

„თეატრი და ცხოვრება"-ზე

დაარსების წელი X გამოცემის VIII

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის უპარტიო, ყოველ-კვირეული სურათებიანი ჟურნალი წლიურად 100 მ., ნახევარი წლით 60 მ., თითო № 7 მან. ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაში ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ძველ მეწი-გნეების რიგზე, ფოსტით. თბილისი რედ. „თეატრი და ცხოვრება ოსებ იმედაშვილს

ათი წლის თავი

(ახალი ხანა)

იანვრის 2 ათი წელიწადი სრულდება, რაც ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება"-მ პირველად იხილა ჩვენის სამშობლოს ჯანყ-ბურუსით მოცული ცა.

ეს იყო ნიკოლოზის მეფობის შავ-ბნელ ხანაში, 1910 წ., მაშინ, როცა ყოველი ცხოველი ახრი, ჭეშმარიტი სიტყვა, საქვეყნო საქმე ძველის წესწყობილების ჟანდარმებისგან სასტიკად იდევნებოდა...

და მაშინ ვერც ჩვენ ავკდით ძველი წესწყობილების სუსხს...

მიუხედავად ყოველგვარი შეეიწროვებისა, ერთ-ხელვე არჩეულ გზისთვის ჟურნალს არ გადუხვევია.

ეს გზა იყო სამშობლოს ხელოვნების-თეატრი, მუსიკის, მხატვრობის, მწერლობის და საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა და სხვა მხარეთა აღორძინება წინსვლის ხელის შეწყობა!

და ჟურნალი ეღირსა თავის უგულითადეს ნატვრა—რწმენის განხორციელებას: სამშობლოს განთავისუფლებასა და ამ თავისუფალ სამშობლოში ხელოვნების თავისუფალ აღორძინებას!

ამის ცხადი მაჩვენებელია სამსახიობო და საოპერო სტუდიის დაარსება, ქართველი ოპერის გამოცისკროვნება, მშობლიურ მხატვრობის გამოცაგება, ქართველ ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერების ნიადაგზე შედგომა და მშობელი ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავის ხელში აღება...

ამ გვარად, ძველ-შავბნელ ხანაში დაბადებული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" დღეს ახალ ხანაში გაათკეცებულის ძალღონით იწყებს გამოსვლას ეველებრივ ყოველკვირეულად.

წინად ჟურნალი მუდამ მკითხველთა, ხელის მომწერთა ზნეობრივი ნიკთიერი დახმარებით გამოდიოდა. ამ ათის წლის თავზედაც ჟურნალის რედაქცი დარწმუნებულია, მკითხველი არ მოგვაკლებს თავის ჩვეულებრივ დახმარებას!

დადგა ხანა, როცა თითოეული ქართველი, თითოეული გულწრფელი რესპუბლიკელი, მთელის თავისის ძალღონით უნდა ემსახუროს ჩვენის ერის სულიერ-ნივთიერ აღორძინებას!

ხელოვანი, ხელოსანი, მეცნიერი, ყოველი დარგის მუშა, მოხელე, გვარდიელი თუ ჯარისკაცი, პოლიტიკური თუ კოოპერატიული მოღვაწე, ეპარ-მრეწველი თუ მეურნე, ერთს მიზანს უნდა ემსახურებოდეს—ჩვენი თავისუფალი სამშობლოს ამაღლება-გაძლიერებას.

ხოლო ჩვენი სამშობლო საკუთარ ჭერ-ქვეშ მაშინ იშვებს, როცა სულიერად ამაღლდება.

ეს-კი ხელოვნებას შეუძლიან.

ამიტომ საქართველოს ყველა დარგის ხელოვანთ მოუწოდებთ, ხელოვნების დროშა კიდევ უფრო მაღლა ასწიონ!

განსაკუთრებით თეატრის, მუსიკისა და მხატვრობის ქურუმთა და ჭეშმარიტ მოყვარულთ ელის მოციქულებად ჩვენი ქვეყანა!..

ჩვენი ჟურნალი მათი ერთგული თანამშრომელია!

ძვირფასო, მუდამ უანგარო მკითხველო, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" გილოცავთ არა მხოლოდ ახალ წელს, არამედ ახალ ხანასაც!

დაე, ამ ახალ ხანას განმტკიცებინოს ჩვენის სამშობლო საქართველოს მთლიანობა, დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა!

იოსებ იმედაშვილი

ქართველი მსახიობის დღე

ქართველ მსახიობთა პირველმა თაობამ მშობლიური სცენა ზეაღმტაცი ფრენით გამოაქროლა, მეორე თაობა—მოათრევდა, ხოლო მესამე იმდენად უნდილი გამოდგა, რომ ვერც კი მისთრევს...

მიუხედავად ამისა, ქართველი მსახიობი მაინცა სცოცხლობს და მისი ხატება ქართველთა მახსოვრობაში მუდამ შარავანდედით იქნება მოსილი.

ქართველმა მსახიობმა დადებულათ შეასრულა თავისი ბოქალაქეობრივი—მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

თუ ვისმეს შეუძლიან სთქვას—ახალ საქართველოს აღორძინებას საძირკველი ჩავუყარეო, მათზე არა ნაკლებ შეუძლიან ამითი თავი მოიწონოს ქართველმა მსახიობმა

ქართველმა მსახიობმა ჯოჯოხეთურ პირობებში მშრომელ ერს მიუძღვნა მთელი თავისი არსება—სული და გული.

იგი იყო არა მხოლოდ სამშობლო ხელოვნების ქურუმი, არამედ—ერის მოქალაქე წინამძღოლი ჟამსა საზოგადოებრივ სიყრუვისა, სიბრმავისა და გულ-ცობისა!..

მან ახალგაზრდა საქართველოს შექმნაში მთელი თვისი არსება შეიტანა, ხოლო ახალგაზდა განახლებულმა საქართველომ იგი ჯერ კიდევ ღირსეულად ვერ დააფასა.

ამისი ღირსი კია და არც დასაყოვნებელია!

მაგრამ ჩვენი მსახიობი მარტო სხვისი დახმარების იმედით არ უნდა სუნთქავდეს.

მისი მოვალეობაა პირვანდელის გატაცებით მოეკიდოს საქმეს, მთელი საქართველო ხელოვნების ტაძრებით დაქსელოს, სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა მოქმედება გააერთიანოს, თვისი **მეობა** გამოაფოფოლადოს და ხელოვნების უმწიკვლო განცდამდე ამაღლდეს რათა მისი ტაძარიც განსპეტაკდეს და მეტი პატივი დაედოს...

დღემდე თუ უმეტესად მოქალაქე-ტრიბუნი იყო, ამიერიდან მხოლოდ ხელოვანი—ტრიბუნი უნდა შეიქმნეს...

და ქართველ მსახიობის დღის დაწესება ამის ხელის შემწყობი უნდა იყოს.

ქართველ მსახიობთა დღის დღესასწაულის დაწესება იანვრის 2 სასიხარულო მოვლენაა... ამ დღეს აიხადა ქართული თეატრის ფარდა და, დაე, ამავე დღეს დაიწყოს ქართველი მსახიობის გადახალისებაც!..

ეს დღე უნდა იზეიმოს მთელმა ქართველმა ერმაც...

და ვისაც რით შეუძლიან თვისი წვლილი გაიღოს მსახიობთა დღის მოზეიმეთა ფრთის შესასხმელად!..

გაუმარჯოს მსახიობთა დღეს!.. გაუმარჯოს მშობლიურ ხელოვნების ქურუმთ! გაუმარჯოს ქართველ მსახიობთ!..

იოსებ არიმათიელი

ისმინეთ!

მტრები ისრებით მემიზნებიან,
გზა ყოველის მხრივ ჩემი კრულია,
უსამართლობას მე მაინც ვებრძვი,—
ბრძოლის მიზანი სიყვარულია...
უიმედობა—ეს მკაცრი ძალა,—
ვერ დაიბუდებს ჩემს მტკიცე გულში;
ვეძებ სიცოცხლეს, სამშვენიერეს
და სილამაზეს მე სიყვარულში!
ტკბილი იმედი მე უკვე მწყალობს,
არც დამივიწყებს იგი ჩემს დღეში;
მტრების ისრებსაც იმედით დავძლევ
და შევიჭრები ტკბილ სიცოცხლეში!,..

კლავდია გაბუნია.

აკაკის ხსოვნას

(პატარა მოგონება)

ოთხმოციანი წლე? ს პირველს წნახევარში ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ერთი დირექტორის ადგილი განთავისუფლდა. მთელმა თავად-აზნაურთა კრებულმა დაადგინა ამ ადგილზე მოეპატიჟნათ აკაკი, რათა უზრუნველეყოთ მისი მატერიალური მდგომარეობა. აკაკი იმ დროს კრების დარბაზში ჯერ არ მობრძანებულიყო. აირჩიეს საჩქაროდ დელეგატები და მიიპატიჟეს იგი საკრებულოში. ჩვეულ[illegible] სიდინჯით შემობრძანდა აკაკი საკ[illegible]ულო[illegible] [illegible] არა, შეიქმნა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი. იგი მიიპატიჟეს სცენაზე, სადაც პირისპირ იდგა საზოგადოების წინაშე და, ფერმკრთალი, უცქეროდა ოვაციებს. გავიდა სცენაზე კრების თავმჯდომარეც. საზოგადოება დაწყნარდა. თავმჯდომარე მიუბრუნდა დიდებულ მგოსანს და მოახსენა კრების დადგენილება. აკაკიმ ჩვეულებრივის ღიმილით მიმართა საზოგადოებას და თვისის მოქარგულის საუცხოვო ენით მადლობა შესწირა პატივისცემისათვის. რა საკვირველია, იმ სიტყვის აღდგენა აღემატება ჩემს ძალ-ღონეს, მხოლოდ შინაარსი მისი კი მკაფიოდ ჩაიბეჭდა ჩემს მაშინდელს ყმაწვილურს მახსოვრობაში.

— როგორცა სჩანს, თქვენ, ბატონებო, დიდად აფასებთ ჩემს სამწერლო მოღვაწეობასო, — უბრძანა მან კრებულს, და ამის საბუთს მაძლევს დღეგან[illegible] [illegible] თქვენი პატივისცემა და დადგენილება. და ს[illegible] [illegible] ეს გარემოება არ მაძლევს ნებას ვიკისრო ის ოფიციალეობა, რომელსაც ასეთის ჩემდამი გულმტკივნეულობით მე მთავაზობთო. მე ვშიშობო, — განაგრძო მგოსანმა,—რომ იქაც, ჩემს ალაგზედაც, დაგეკარ-

გებათ სასარგებლო მოღვაწე და ვერც აქ გაგიწევთ იგი იმ სამსახურს, რომელიც ამ სავარძელში მყოფ მოღვაწეს მოეთხოვებაო.

კვლავ ოვაციები გაუმართა საზოგადოებამ საყვარელს მგოსანს, ხოლო ახალგაზრდობამ მაისის ვარდებით გაავსო მთელი სცენა, საიდამაც აკაკი ციურის ღიმილით შესტრფიალებდა მას.

ივანე ელიაშვილი.

განცდათა კარნახი

I

შემოქმედება

ა

ლაბორატორია იგი ელექტრონის ჭაღებით იყო გაკაშკაშებული. ღრმად ჩაფიქრებული ახალგაზრდა პროფესორი გონივრული გამომეტყველებით და რაღაც ახალი აზრებით თვალებ-გაბრწყინებული მისჩერებოდა ერთ წერტილს. თეთრი ხალათი ლამაზად უხდებოდა მის გარეგნობას.

თანაშემწენი გარინდებულნი მისჩერებოდენ.

ცოტა ხანი კიდევ და პროფესორმა თავი მაღლა ასწია და წარმოსთქვა: მაშ ასე, გადაწყდა, ექსპერიმენტი უნდა დავიწყოთ; შემოიყვანეთ!

ამ სიტყვებმა ყველა ადგილიდან დაძრა, წუთი და განათებულ დარბაზში წარმტაცი სილამაზის ქალი წარმოსდგა.

თმის კულულები გიშრის მზგავსად უბრწყინავდა, თვალები ელექტრონის ციალს ეცილებოდენ, ტანი —ლერწამს ედარებოდა.

პროფესორი გაიტაცა მისმა სილამაზემ. მოეწონა საგანი ცდისა, და იმ წუთს შეიყვარა იგი.

— ოჰ, შემოქმედო! იქნებ აღსრულდეს და ეს იყოს ის მთლიანობა, რომელსაც იდეალათ მოელის ჩემი სული.

ეს აზრი ყველას გაუზიარა. დაიჯერეს, რადგანაც სიტყვის გამოთქმაში ისმოდა კარნახი ურყევი რწმენისა.

მოემზადე, ასულო, უნდა დავიწყოთ!

ქალის სხეული ნაზად გარდაეფინა თეთრ სარეცელზე. ყველა საქმეს შეუდგა.

ქალი შედეგი გამოდგა მეცნიერული ანალიზისთვის.

ბ

გათავდა ცდა. ყველა ისვენებს.

ქალი უძრავად ძევს სარეცელზე.

პროფესორი ღრმა ფიქრებშია. ყველა მას მისჩერებია.

— გაიტანეთ ლეში.

— არა, ბ-ნო პროფესორო, ის ლეში არ არის სუნთქავს.

— მისი სუნთქვა გულს არ ამოძრავებს. მის არსებაში მოქცეული ღვთიური ცეცხლი პატარა სახმილი არის. ის აქ რჩება. და ეს ნაკვთი მიემატება მთლიან შემოქმედების სალაროს.

პროფესორი გონივრული ნებისყოფა, იყო. გრძნობიაარობამ მას მხოლოდ ერთი წვეთი ცრემლი მოსტაცა, რომელიც ქალის ლამაზ მკერდს მხურვალედ დაეცა. და ამ წვეთის კვალი ქალის ცხოვრებაში მოგონების წაუშლელ სიმბოლოდ აღიბეჭდა.

გ

გავიდა დრო. ქალი იგი ისევ ცოცხლობს ავტომატიურად. ზთგჯერ იცინის, ცელქობს. მაგრამ დგება წუთი, როცა დახედავს თავის გულზე აღბეჭდილ ცრემლის ნიშანს, მწარეთ აქვითინდება და იტყვის:

— რათ არ ვეღირსე, რომ ახალგაზრდა პროფესორი ჩემით სავსებით ატირებულიყო.

და ამ დროს მეორე გრძნობის კარნახით სარკის წინ რითმიულად ამუსიკეს სხეულის ყოველ ნაკვთს.

ხან კვნესოდა, იგი, ხან კისკისებდა!..

დ

გავიდა მრავალი წელი. თეთრი თმით შეიღერცხლა პროფესორის თავი. დაუძლურდა... დაავადმყოფდა...

ერთხელ ზის იგი თავის სიყრმის ლაბორატორიაში, და მშვიდი სახით ელოდება ახალგაზრდა ექიმის საბოლოო დიაგნოზს. ექიმმა გაათავა გაშინჯვა და მიმართა პროფესორს.

— მე მგონია... მალე მოკვდებით!..

— მართალია... გამოიცან... უკანასკნელ წუთებში ვარ...

— მომიტევეთ... მაგრამ... თითქოს ასე მგონია, გრძნობა და გონება....

— არა მაქვს!.. მართალია, ჩემი გრძნობა იმ ცრემლებმა ამოაშრეს, რომლებიც ყველა ცდის სა განს წვეთებად ეპკურებოდა, გონება-კი ცდის შედეგში გადვიტანე. აბა, შეხედე... თაროებზე.

ექიმმა გაიხედა, დაინახა მრავალი წარმტაცი სახე შემოქმედებისა. აღტაცებით დაუწყო შინჯვა... აღმაფრენით შემოსილმა გასწია პროფესორისკენ, რომ ის ღვთიური ამბორით დაეტკბო, მაგრამ... იგი საუკუნო ძილს მისცემოდა.

— განიცადა, შექმნა და ამოიწურა!

წარმოსთქვა ექიმმა ნელი ხმით და მის ირგვლივ უძრავ საგნებს, მაგრამ რაღაც საიდუმლოებით მეტ-ყველთ, მოწიწებით თავი მოუხარა!..

კ. გერგესელი.

მგოსანი ქალი ბაბილინა
მწერლობს 1908 წლიდან.

უხილავი ზარეგი.

უხილავი ზარები დაკვდოვიდი ქნარებით,
კანწირულის ქანებით დარეკავენ დამეში.
ზანაშვიდი მწარეა. სიცოდავი ქარია.
მოკვდა ლურჯი არია სილამაზის დამლევეში.

ფიქრიანი რვალია. ცახცახობენ ძალიან.
კოლკოთაზე ავლიან მეოტნებე ქალები.
სწნავენ ეკალის კვირკვინებს: ბედისწერა იკრკვინებს.
უაზდი კაკვიდიმებს სალოამეს თვალებით.

უნინერი ხატება: დედოფალი ლამაება,
და ვარდების ანთებს შეკხვალებიან წერილით.
ამ მწუხარე რეკვაზე და ლამეულ ცეკვაში,
როკორც ტანსთან ოეორ ქვაზე, კისმება ტირილი.

ტრფობის სურნელ ლიმონებს შავი კედი იმონებს,
ვიდაც ჩუმად იკონებს მივიწყებულ სახეებს.
ლამაზ ქალთა სერია ისმის ერუ მისტერიად.
უცხო ჩხვალეტით მლერიან. ზარი წითლად ახვალებს.

უხილავი ზარები დაკვდოვიდი ქნარებით,
კანწირულის ქანებით დარეკავენ ლამეში.
ზანაშვიდი მწარეა. სიცოდავი ქარია.
მოკვდა ლურჯი არია სილამაზის დამლევეში...

გ. ბრონშტეინ

სალიტერატურო სილუეტები

(ქართული პოეზიის ფერები)

ვაჟა-ფშაველას უკანასკნელმა ამოოქმამ, მისი შაირის მისი „მეკვარტლიანი ჩონგურის“ უკანასკნელმა ამოკვნესამ, — დაამთავრა საქართველოს ბუმბერაზ მწერალთა პეტრიოდი.

გადის ხანი—და შემოქმედების სალოლო მოედანი თითქმის ცარიელდება...

ჩნდებიან პატარა ლანდები და ზოგი მათგანი იზრდება, ზვიადდება შემოქმედების უძირო, ღრმა სივრცეში...

ჯერ შანშიაშვილის დარბაისელი ლანდი გაიელვებს... იზრდება...

ჩაივლის გრიშაშვილის ცქრიალა მუზა... —თითქმის პირველის მამაკაცურ ლონიერებას,—უკანასკნელის—ქალწულებრივი სინაზე თ.ნ მისდევდეს სპაეიმანოდ...

არ შორდებიან...

ჩნდება აბაშელის განმარტოებული ლანდი და ოცნების ბურანში ელის... ელის მზეებს...თითქმის პირველს ორს—ერთად მავალთ—მზის კანდელით მიაცილებდეს.

ენთება...

ჩაივლის მზე.. და ღამის უგზოობაში „ტანზე ნაბად შემოხვეული“, მარტო ვით სული.. გამოჩნდება გვიანი მგზავრი გ. ტაბიძე...

მიდის...

სადღაც...რაღაც ლანდმა გაიელვა...დაღლილი, მოწყვეტილი... მისუსტებულის ხმით მისტირის...

ბარათაშვილის ფრთა მალ მერანს დაედევნება დაგვიანებული მკედლიშვილი.

ირევიან ლანდები... მიჰქრიან სილუეტები...ისმის გაურკვეველი ხმაური.

გამოჩნდება ფაშალიშვილი და ეძებს დაკარგულს გრიშაშვილს.

აღარაფერი მოსჩანს... კრთიან—მხოლოდ უცნობი არეული—ჩვენებანი და ჰფარდებიან...

ევდოშვილის სასაფლაოზე ჩაივლიან—ეუჩიშვილი და რუხაძე...

და ასე მძიმედ...ნელ...ნელ პატარავდება...ვიწროვდება სივრცე...

შუბლშეკრული მაყაშვილი დინჯად ჩაივლის, სიჯაბუკის გრძნობათა მღელვარე მორევში საბანაოდ...

გვიანდება...უცნაურებით ივსება სივრცე... ღრმა და თხელი საბურველი ემოსება...დაღონებული ლოდინი ესალბუნება სულს და ნაღველის მღვრიე აუზში ეშლებიან ფიქრები...

გადარეული ხმაური—მტვერი და ყიჟინა, თითქოს შახბაბის—მოწინვე რაზმები დაბრუნებიან თბილისს...

ცარიელს სადოლოზე ფეთიან ტაიჭით მოჰქრის ვინ დაკარგული პაოლო იაშვილი,— ხელთ ცისფერი ყანწები უპყრია და მედიდურად აელვებს დამთვრალ თვალებს... ისმის არლანთა ხმაური.. თარები.. ჭიანურები... თან მიხდევენ ტ. ტაბიძე და გაფრინდაშვილი—აღთქმის კიდობნით, რომელშიაც მალარმეს და ბოდლერის ლანდებია მომწყვდეული... მათს შემდეგ ორი მხეადარი კვლავ გამოჩნდება.. გარკვევით არ სჩანან—...მოდიან... მოდიან დასასრულებლად.. ლანდები... ჩვენებანი...

მიდიან... ჰქრებიან... ჰფარდებიან...

ბევრი მიმავალი მტვერში იმალება... იმსხვრევიან ჩარჩოები.. კრონოსის ლოცვად აწვდილი ხელები დადუმებულნი ეშლებიან.. ლაფიანდებებიან სულებით...იმტვრევიან... იბნევიან...

არავინ არა სჩანს... არა სჩანს... არა სჩანს...

ულულო.. უშინაარსო შაბლონმა უშნოდ გააყვითლა ჩვენი მწერლობის ლამაზი ფერები.

არ შეიძლება უარყოფა იმის, რომ ბევრს მათგანს აქვს ყოველსწამს იმანენტური თვისება ზეკაცად ზრდისა...

ბევრი მათგანი უკვე გაემართა—ძმ მაღალ საფეხურზედ, საიდანაც ჩამოსვლა აღარ შეიძლება..

და ზევით ჩამოთვლილ მწერალთა შორის თითქმის ყველა, რასაკვირველია შედარებითი—მაღალ ყურადღების ღირსია.

ით ერთმანეთს ვერ გაუთანასწორებთ. მაგრამ ვე ავაშორებთ..

ოგორც ჩვენი ქულაჯები და ტანთსაკმაზავი არ გამოადგება, ევროპიელ ქალაქის ქუჩებს, ისე არც,—შანტანების და სხვა ინტიმურ საკრებულოთა ადამ-დ ევას ყაიდის სამოსი, შეეფერება მას.

უკიდურესობისკენ გაემართა – ორივე მხარე. განსაკუთრებით ფუტურისტების გზა დაშორდა ჩვენს ცხოვრებას.. მართალია მაში ბევრი დადებითი მხარე არის, მაგრამ თავშეუკავებ მერანს –პირ დაღებული კლდენი მიელიან ყოველთვის.. მხედარი ხიფათშია..

სიმბოლიზმს პირველ ყოველისა ნებიერი სინაზე უნდა რთავდეს და პოეზია საერთოდ ხომ განმწენდი ცეცხლი უნდა იყოს ამ მხრივ, ყოველგვარ სიბინძურის, უშნოობის და მოუბეშობისაგან..

სამწუხაროდ ჩვენს ფუტურისტებს ეს მხარე დავიწყებული აქვთ, ხოლო მათს უფერულ ლენდებს „კრონოსის სარკესა“ და სხვ. ავტორებს, თავისი უშნო – პროფილები და კუზიანი ზურგები წარმოუდგენიათ სიმბოლიზმად. ს პ ზ ი ა ო ის.

ექსიონ სიალე მოხდენ ლია..

— პაოლო იაშვილი გიჟია ლექსში და საკმარისია ოდნავ—დაინოს უკან, რომ ლამაზი შემომქმედი შეიქმნეს... ასევე ითქმის მის ორს ღირსეულს თანამგზავრზე..

მე მეშინიან—თუ ძველს განაგრძობენ,—მათთან ერთად არ მოკვდეს მათი პოეზია და მათი პოეტობაც, მიუხედავად ცეცხლისა და ტემპერამენტისა მუდამ რომ ატარებენ.

რაკ შეეხებათ ძველთ... სათი ლანდები – დარბაისელ სახეებს იღებენ ჩვენს მწერლობაში.. შანშიაშვილს, გრიშაშვილს, ბაბშელს, მაყაშვილს და დანარჩენთ შეუძლ ნთ დიახ ოცნ ნ დ პოეტობად დ ნ ჩ ებ ინ ყოველ-

ი ე ე ტ ძ ა ა ც ი ა ს ს ბ ა ლ ა ბ ზ ე დ ა დ გ ო მ ა.. საამისო ფერები დადიან მის ლექსებში... მისი პოეზია ატარებს აუცილებელს თვისების სინაზეს.

აქვითვე უნდა წამოვიდნენ ფაშალიშვილი და მჭედლიშვილიც.

საზოგადოებას მოსწყურდა ახალი რამ.

მწერლობა ქვევით მიდის..

ხალხს სულიერი საზრდო უნდა მივაწოდოთ, თორემ სინა ზეს, სიფაქიზეს, სილამაზეს გადაეჩვევა... მხოლოდ რითმები მუსიკას ვერა ქმნიან..საჭიროა ფერები და მათი სათუთად შეზავება.. საჭიროა ახალი ფერები.. ახალი ყაიდა.

ცარიელდება, იძინებს შემოქმედების სადოლი მოედანი, —საიდანაც შოთას, ბარათაშვილის და ვაჟას ბუმბერაზი, ზვიადი, ზეკაცური სახეები ამაყად გამოიყურებიან...

ი. მოსაშვილი

გამარჯვებულნი!..

(რევოლიუციის პირველ დღის სახსოვრად)

ჩვენ ვიყავით ძირს, დედამიწის უძირო ჯურღმულში—სიბნელისა და სიკვდილის სამეფოში... ჩვენ დავეძებდით იქ მზეს, რომელიც დავკარგეთ დაბადების პირველსავე წუთებში. რომ გამთბარიყო მისი ცხოველი სხივებით სიცივისგან დამზრალი ჩვენი სული და ხორცი; დავეძებდით პურს, რომ საზრდო მისცემოდა გასაწყვეტად დაქიმულს ჩვენს ძარღვებს, რომ ერთი წვეთი მაინც მიმატებოდა ძვალსა და სისხლს, რათა არ დაგვკარგოდა ფერი და სახე ადამიანისა, რომელთაც ჩვენ ვენათესავებოდით ცხოვრების ღრმა დასაბამით...

ჩვენ გვწყუროდა სიცოცხლე... სიცოცხლე ადამიანისა, რომელსაც შეუძლია დაინახოს ცის ლაჟვარდი და დედამიწის სიმწვანე, ხარბათ ეზიაროს უბიწო ეთერს და მოკვდეს დამშვიდებული ბუნების ფერადოვანს წიაღში.

ღრმათ გამოკვეთილი კლდის რუხი და ნოტიო კედლები ავიწროვებდა და ყინვასავით აცივებდა ზეგო ჭუკრუტანებიდან უჩინრათ, თავხედურათ ჩამოპარულს ჰაერს, რომელსაც უდიერათ ნთქავდა გვირაბის გაუმაძღარი და უსახო სიბნელე, ამძიმებდა მას ტყვიასავით, ქანგივით ზე ეკვროდა ჩვენს ოფლიან სხეულს და სწამლავდა მას, რომ სიცოცხლის გრძელი და სამწუხარო წუთები ადვილ-დასათვალი ყოფილიყო ფრჩხილებ დაცვეთილს ჩვენს თითებზე...

ჩვენ ვმუშაობდით!.. პიტალო კლდის გაკაჟებულ გულზე მოგლეჯილ ლოდთაგან ვწურავდით რკინასა და ფოლადს, სწრაფათ ამოვისროდით დედამიწის ზედა პირისკენ, რომ საფეძვლათ დასდებოდა ესოდენ სიფრთხილით გასავლელ „ბეწვის ხიდს“, რომელიც გაბმული იყო ჩვენი სიცოცხლის სწრაფსა და შფოთიანს მდინარეზე... ჩვენ ვამზადებდით მოუთმენელის სიჩქარით „ცოცხალ მანქანებს“ დედამიწის და ჰაერის დასაპყრელ-დასასერავათ, რომ ადვილათ მივსწვდომოდით საარაკო ცის საიდუმლოებას; ვამზადებდით კერპებს ადამიანთა მისტიურ გონების დასამშვიდებლათ; ჩვენ ვქედდით ბორკილებს და კარის ურდულებსაც...

ოფლში ნადუღი სისხლით ვაძღობდით ფეხით დანათელ მიწას და ალისფრათ იღებებოდა ქვის ხორკლიანი კედლები. სიკვდილის შავი აჩრდილი უდიერათ ეყუდა ჩვენს თვალწინ და თავხედურათ გამოწვდილ ჩონჩხიან ხელით ითხოვდა სიცოცხლის ბეგარას... ქედ-წაბრილი და გულამღვრეული თვალს ვარიდებდით და მონატეხ ქვის პაწია კენჭებიდან ვადენდით სიცოცხლის უშრობ წყაროს; წყლაქვის დ ჩაქუჩის შეუწყვეტელს წკრიალში გვესმოდა შორეული გამოძახილი ამაყათ მომავალ სიცოცხლისა.

... და აღსრულდა!..

დაცარიელდა გვირაბი, გაქრენ სიკვდილის აჩრდილნი და თამამის თვალით ვეკრეტეთ მზისა და მთვარის ნათელ სახეებს...

ჩვენ გავიმარჯვეთ!..

ა. ჭელიძე

მეგრძოლი ქალი

ოლა გაბუნია (1885—1919) არეშიძისა

ღვინობისთვის 26 გარდაიცვალა ოლა გაბუნია—არეშიძისა. ოლა ჩვენი წარსულ რევოლიუციის ერთი ენერგიული მუშაკთაგანი იყო. როგორც ქართ. ქალი პირველი მერცხალი იყო რევოლიციონურ გამოსვლებში. მუშაობა დაიწყო 1900 წ. ამ წელს დაარსა ქალაქის ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში ქალთა წრე, დაიწყო თვითგანვითარება. ამ დღ დან მონაწილეობდა ყველა გამოსვლაში 1903 წ. დემონსტრაციაში პუშკ ნის ბაღთან დაიჭირეს. ყაზახებისაგან გამათრახებულ-გათელილი ჩასვეს ციხეში. პირველად მას გაუღეს მეტეხის ციხის კარი, როგორც ქართველ ქალს. ციხეში რამოდენიმე თვე დაჭყო. ჯალათების ხელში მყოფ ოლას უფრო გაუსკეცდა ენერგია, გაუღრმავდა რევოლიციონური სული და ციხიდან განთავისუფლებისათანვე დაწყებული საქმე უფრო მეტის ხალისით განაგრძო. 1908 წლამდე ერთი დღითაც არ მიუტოვებია საერთო საქმე. 1908 წ. მეშვიდე რაიონის (ვერის) კოლექტივი დაიჭირეს და სხვებთან ერთად ოლაც ჩასვეს ციხეში. სასამართლომ ოთხი წლის კატორგა ორი წლის ციხეში ჯდომით შეუცვალა, მაგრამ ნიკოლოზის ჯალათებმა ეს არ აკმარეს, 1912 წ. მესამედ დააპატიმრეს და შორეულ ციმბირს გადაასახლეს ხუთი წლით. ციმბირიდან დაბრუნდა ნაწვავ—ნაწამები და კვლავ განაგრძო ორგანიზაციული მუშაობა როგორც არალეგადურ, აგრეთვე ლეგალურ-კულტურული. გამოდიოდა სცენებზე, თბილისში და პროვინციაში.

ოლაში ჩვენ დავკარგეთ მტკიცე და შეუპოვარი მუშაკი. ხსოვნა მისი სამარიდისოდ დარჩება ამხანაგთა გულში.

ამხანაგი

მეგრძოლ ქალს

წარმოთქმული ოლა გაბუნია—არეშიძის კუბოსთან თავისუფლების მოედანზე დაკრძალვის დღეს

ეხ, მშვიდობით ამხანაგო,
მშრომელ ხალხის მეგობარო,
მენანები, მაგრამ, რა ვქნა,
„დრო დადგა რომ გაგეყარო“.
შენ იყავი ქალთა შორის
განთიადის მოცქეული,
თანასწორათ გსურდა წინსვლა,
მისთვის სძგერდა შენი გული.
შენ აღმართე შვების დროშა
ნაკურთხ ხელით ნაქსოვარი,
ქემმარიტო ბრძოლის შვილო,
შენ შეაღე ციხის კარი.
შენ ჰქელავდი ეკალ-ბარდებს,
გზას უხსნიდი მომავალსა,
ვსთქვი, თუ ბრძოლა შესძლებია
როგორც კაცსა ისე ქალსა.
ვერ შეგაკრთო მტრის სასჯელმა,
ვერც სამშობლოს დაშორებამ,
მტერთან ბრძოლა, მუდმივ შრომა
შეგაყვარა ძმობის მცნებამ...
ამიტომაც დაგფრიალებს
დროშა შენგნით მოქარგული,
ზედ ჰხატია შენი გული...
ვაშა იმათ, ვინც შენს შემდეგს
შენი ნაკლი შეასრულონ,
რაც ვერ შესძლო შენმა ლონემ,
დაე, იმათ დაასრულონ...

გ. შინატეხელი.

მხატვარი ვლ. გუდიაშვილი

<u>რომელიც მთავრობის ხარჯით საფრანგეთს გაიგზავნა</u>
უმაღლესი სამხატვრო ცოდნის შესაძენად.

ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენლების პირველი კონფერენცია (1—16 აპრილს 1919 წ. ქ ხარბინში)

სხედან: ვ. ფანიევი, პ. თევზაძე, დ. ტუსკია მდივანი ი. კალანდია (მდივანი) ი. ხაინდრავა თავმჯდომ. ამხ. კ. გაბუნია (თავმჯდომარე) დ. როსტომაშვილი (თავჯდომარის ამხ.), გ. მგალობლიშვილი ნ. ჩუბინაშვილი—მაისურაძისა, კ. ჟორჟიკია: სდგანან პირ. რიგში: ვ. გოცირიძე, დ. ღლონტი, ა. ლომიძე, ი. ძნელაქე, ლ. ნაცვალოვი, თ. თვალიშვილისა, მ. თოხაძე, ნ. სულხანიშვილი, გ. ფიცხელაშვილი, დ. დუმბაძისა, ქ. დათიკაშვილისა, ს. ჯორძაძე, სდგანან მეორე რიგში: [illegible] აბუშერიძე, ნ. ბაშიძე, გ. ორჯონიკიძე, ი. ღლონტი, გ. მაისურაძე, რ. ერისთავი, [illegible] დვალი.

ახალი წელი ფერეგზე

ახალი წელი გათენდება წითელ ღიმილით...
გამოგვიქროლებს თეთრი თოვლ-რაში,
მშიერთ სამყარო დაუხვდება შავი კივილით
ცხრაას ცხრამეტი—მკრთალი მირაჟით...

მსუქანთ დარბაზი იკაშკაშებს ნაირ ფერებით...
სტრფოს ლოყებზე სუსხი იმეფებს,
გაცივებულნი კვლავ ერთმანეთს მივეფერებით...
ახალი ვამყარებ მე ჩემს იმედებს!!!

შალვა მეფანდურე.

ახალი წელი

კანხლეშუდი ეტლეთ, კანხლეშეულ მხრეშა,
მოქრას ახალი წელი და მის არე მარეში,
სურს ეფრქვეოს ხხიეები, მოკვეცს ნეტეშის ხელი
დაგვეწეოს წარსული, ეოფნა სიმწეარეში
რომ შეოძარად ეკვლეს ეუოს თვისი ხსოვნა სახელი.

მოდი, მოდი მოფრინდი, დიდო ახალო წელო!
შეშოკვეტლე ბინდი, მტრის თვალების დაძწეველო,
სიცოცხლე ენტერე ამდენი და კინდიდი,
რომ მარად გეგონეიდეს სიმშობლო საქართველო...

ჩვენ სალხენად იმედო, ეოდი და მოგემეიძდი.
მეესლმე სიზლვარზე დარეკილ მდკარ შვილებსა,
ამენე სიმშობლოს ბედი მისორის კამოწროვნილებს,
მაუდოდეს ახარე ეუოხარ რაც კაქეს სათქმელი
ნუ დასტოვებ ლეგიონს შენგან კანწყიალებსა
ჩემანენ უძღვენ სალამი კრძნობით კანუსაზღვრელი.

დარია ახვლედიანისა



ნოე ჟორდანიას სახლი ქ. ლანჩხუთში რომელშიაც დაიდაიბადა და აღიზარდა. დაბლიდან ბოძზე მიყრდნობილია ნოე, მხართან ეუხის შვილი ანდრეიკა ბოძთან ასული მოშორებით — ძიძა.

ოლივერ უორდროპის სტუმროვა

სოფ. საგურამოში ილია ჭავჭავაძესთან

(მოგონება დეკ. გ. ასათიანისა).

ეთვალ წელიწადს, იდიობას (20 მკოთ-ოვეს) ილია კრეკორის ძის ჯაგჭავაძის სახელწოდების კამი, ნამდვილი ქართული დღესასწაული იმართებოდა ილიას სახლში, მთელი საგურამოს ვეფის კლეს-კაცობა იერდა თავს, ილიას მისალოცად. აქვე იყვნენ საქართველოს დაბა-ქალა: ქებიდან მრავალი ილია-ბატონიმცემელნი და თბილისიდანაც ეშურებოდნენ მასვლას და დღესასწაულის მოდოცვას. წინამძღვრობენ კარის მოწოფეებიც თავის მასწავლებლებით, წირვისა და ბრალეისის კალაბდის შემდეგ, ეკლესიიდან გაემგზავრებოდნენ ხოდმე ილიას სახლისაკენ თავინთ მხლოვან სიყვარულ ილია წინამძღვრისშეილის წინამძღოლობით. მიახლოვდებოდნენ თუ ეარა სახლს, ემაწვილების ეიეინა და სიმღერა მოსული სტუმრების გაკვანებებდა, რომ მოსალოცად მოდოდნენ ნორჩი ერანი. ამ სიმღერის ხმაზედ მოსული სტუმარნი წამოდგებოდნენ ფეხზედ და მეეკვებებოდნენ ანდა-კაზრდობას. თითონ მასპინძელი ილია და მისი მეულლე დაუგდიდნენ ემაწვილებს და ტებილი ალერსით მიიწვევდნენ სუფრასა და ტებილეეულობით კაუმასპინძლდებოდნენ. ეზის შემდეგ იწყებოდა ემაწვილების სიმღერა და თამაში, რითიც დიდათ ნასიამოვნები რჩებოდნენ როგორც სტუმარნი, აგრეთვე ადგილობრივი კლეს-კაცობიც, რომლის შვილებიც ერიენენ ამ მოწოფეებში. ამასობაში მოახლოვდება სადილის დროც. პირველად კლეს-კაცებს კუშლიდნენ ჯერ სუფრას, რომელსაც ასობით შემოუმწკრივდებოდნენ. ზედამდგომნი ეზიდავდნენ ეარეულ ასმელ ხეშეულს. თვითონ გულუხვი მასპინძელი ილია თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი თავ-შიშველა დასტრიალებდა ძეირფას სტუმრებს და აქეზებდა შერიქოფეებს: „ანა ბიჭო! ჯანი კაეგასეთ, დვინო არ მოწყუროთ“. როდესაც კლეს-კაცობა იქ წოილი დვინით ეულს ისვეფდებდა, მაშინ დაბა-ქალაქებიდან მოსული ეიცხო სტუმარნი დიდი კაკლის ქვეშ შემოესხდებოდნენ კაშლილ მაგიდას.

ილია სტუმრებით ს. საგურამოში კაკლის ხის ქვეშ სადილ

შუაში ალექსანდრე მღვდელმთავარი, 1 ილია ჭავჭავაძე, 2 ილიას მეუღლე ოლღა, 3 ოლივერ უორდროპი, 4 მარჯორი უორდროპი, 5 მარჯორი და ოლივერუორდროპთა მამა, კუთხეში სდგას ამ წერილის დამწერი დეკ. გ. ასათიანი და სხ.

ილია ადგებოდა ადგილიდან, ეეტანებოდა ეარეულ ეარეულ ეარეულ



გლეხობა ილია ჭავჭავაძეს დღეობას ულოცავს.

...ბლეხკაცობა რაცა კარგი შეზარხოშდებოდა, წა-
...მოიშლებოდა სუფრიდან და გაიმართებოდა ჭიდაობა. რა
...წამს კიკინაის ხმა გაისმოდა, ილია მაშინვე ამოიკენ კა-
...შურებოდა, ჩადგებოდა წრეში და იწყებდა სხვა და სხვა
...სოფლიდან მოსულ მოჭიდავეთ. მთელი ინტელიგენციაც
...აიშლებოდა სუფრიდან და შეერეოდა გლეხ-კაცობაში. ჭი-
...დაობას მოგვეებოდა „ტანგალა და გოგონა“.

...როცა ეს ლხინი დასრულდებოდა, ნასიამოვნები სტუმ-
...რები დაიშლებოდნენ და თავიანთ სოფლებისაკენ გასწეულ-
...ნენ და მწყობრი სიმღერით დაუშვებოდნენ თავ-დადა-
...მართზე. ქალაქებიდან მოსულნი ეტლებით კუმეზავრე-
...ბოდნენ: ზოგი მეხეთისაკენ. ბევრიც იმ დამეს ისევ
...ილიასთან დარჩებოდნენ.

ერთ ამ გვარ დღესასწაულზე ამ 25 წლის წინად
...დასწრო ოდესვერ უორდროპი მთელი ოჯახობით. მასმა
...მობრძანებამ ერთი-ორად გაორკეცა დღესასწაული და სი-
...ხარული...წინა დღესვე მოგვიგიდა ამბავი შეოდაში ილი-
...ასთან მოდიან ინგლისიდან სტუმრებიო. ის შესანიშნავი
...და-ძმა, რომელთაც ქართული ენა ისე შეიასწავლეს, რომ
...ძვირფასი და „სული ხელ საგრამნები“ ვეფხის ტყაო-
...სანი გადათარგმნეს ქართულიდან ინგლისურად. ამით ინ-
...გლისის ერს გაცნეს ჩვენი წარსული გონებრივი სიმად-
...ლე და ძლიერება. ამ ამბავმა ისეთი გაკვირვა იქონია წა-
...ამძღვრიანთა კარის 'შეოდაში მოზარდ თაობასზე, რომ
...მაწვიდეს მთელი დამე არა სძინებიათ; მოუთმენლად
...ელოდენ გათენებულიეო ენახეთ თავიანთი თვალითო ეს
...ენახო, მაგრამ მოკეთეზედ ძვირფასი სტუმარნი. მივე-
...ალით თუ არა ილიას სასლში, ემწყიდები გვოხოვდნენ
...ვეფეგვენებინა მათთვის ეს ჩვენი მოკეთე და და ძმა.

ამ დღესასწაულზე თბილისიდან, სხვათა შორის, მო-
...ოძანდა მზეოვანი მდგელ მოაკარი ეპისკოპოსი **ალექ-**
...ანდრე ილიას დღესასწაულის მოსალოცად **და** ძვირფა-
...ი სტუმრების სანახავად. ჩვეულებისაებრ **დაიწყო** დღე-
...სასწაული. დადი კაკადის ქვეშ სუფრის თავში მიიწვიეს
...ე. ალექსანდრე. ეპისკოპოსის მარჯვნივ დაბრძანდა ილიას
მეუღლე, მარცხნივ დამსვეს მე. უცხო სტუმრთა არა ინა-
ბეს სიპატიო ადგილს დაკვეა. ისინი, როგორც შეშვე-
ნის თავისუფად ევრეპის ხალხს, სხვა სტუმრებთან ერ-
თად, ს

ახალ წელს

შენ მოხვედი! ჩვ[illegible] სტუმა[illegible] ძეგ[illegible]ებეთ წრფ[illegible]ის გულ[illegible]ით
ნორჩსა ყრმასა გზას გიჭარგავთ ვარდ-ყვავილის თაიგულით:
ძველი წელი გულ-ნატკენი ძველ რვეულში ჩაეწერა:
რადგან მარად ასე არის ჟამთა სრბოლის ბედისწერა!
ის წავიდა მის მემკვიდრეს შენ გებარვის ყველაფერი!
წითელ დროშის სიდიადე და მამაცი ჩემი ერი;
ვინც უმწიკვლო სიყვარულით ძმობის დროშა შეიყვარა!
ვინც თავისა დასაცავად ქედი არვის მოუხარა!
გეაჯები, კაცთა შორის, მოსპე, მოსპე, შური მტრობა!
და მის ნაცვლად დაამკვიდრე ყველა ერში მკვიდრი ძმობა!
მრავალ ჭირის გადახდილი შეიყვარე ჩემი ერი,
რომ ხალხთ შორის მოიღხენდეს ნებიერი ბედნიერი!

დ. ჭანჭათელი.

მშოგელ ქალაქში

(განცდა ბათომში)

ძღვნად ლენას და ლეოს

რა კარგი იყო მაშინ ჩემი მშობელი ქალაქი! რამდენი სილამაზე, რამდენი ტკბილ-მწარე განცდა.. ღმერთო, აქ გავიზარდე, აქ მოვმწიფდი პოლიტიკურად. დღეს ეს ქალაქი ტყვეთა ქმნილა და მეც საპყრობილედ გადამქცევია. რათა, რისთვის?

ეს ფარჩა-დიბაში გამოწყობილი ჩარჩები სულის ჯალათად მევლინებიან. რა საზიზღრობაა ეხლა... მაშინ-კი რა კარგი იყო. მაშინ ჭაბუკმა გულმა ჯერ არ იცოდა სატრფო ნაღველის ცბიერება, გაუტანლობა... იგი ერთს ეკუთვნოდა. ეს იყო მისი ქვეყნის მომავლისთვის თავის დადება. ხალხიც სხვა იყო მაშინ. ეხლა კი რა ვქნა? ჩემი სულის ზრახვანი ვერ-ვისთვის მიმინდვია! არა და რა საშინელებაა მარტოობა. გაგაგიჟებს სულის ობლობა.

ვის მივენდო, ვის გაუზიარო ჩემი სულის ტკივილები?—ამ ბრბოს ხომ არა, რომელიც ასე სარკასტიულად დაჰხითხითებს. თუ ამ კიბარისის ლამაზ ხეებს?—ვერც ერთი მათგანი ვერ განმიცდიან...

მაშ რა ვქნა, ღმერთო, სადღაა ხსნა? რა სასოწაკვეთილებაა!.. ნუ თუ არსიდან არის გამოძახილი?!

ამ დროს წყვდიადი ნათდება და ნელ-ნელა დგება ერთი-ერთმანეთზე მიყრდნობილი ნაცნობი სახენი და თვისკენ მეძახიან:

—ჩვენ აქა ვართ, ჩვენ შეგიშრობთ თვალზედ ცრემლებს, მოდი ჩვენთან, ჩვენ ხომ მთლიანი სამება ვართ.“

ბრბო კი არ მიშვებს, მე ვხელდები, მე მინდა ავვარდე ანარიის მთის მწვერვალზე, საცა ჩვენი ქვეყნის წმინდა მსხვერპლნი განისვენებენ და გადმოვ ძახო...მე მყავს მეგობრები, რომელნიც სულით ჩემთან არიან, ჩემს სატრფოს დღეს ბელზებელი სჩიჭანს, მაგრამ ჩვენ მთლიანი სამება დავანგრევთ ყველაფერს და მას კი გავანთავისუფლებთ...

რა კარგი ოცნება!... ნესტანი კი—კვლავ ქაჯეთის ციხეშია.

გ. ა—ბელი

შერიგებაზე

საქო და სარქისა

სარქ. საქო, საქო! საქმეს რომ მორჩე გარედ გამოიხედე.

საქო. (დუქნიდამ) ჰა რა ამბავია!?

სარქ. ცხელი კაზეთია, ცხელი!

საქო. კაცო, კიდევ ემე ფინთი რამ არ მახარო. ჯერ გუშინდელიც ვერ მომინელებია!

სარქ. არა მეთქი! ნუ ხარ აჯამი! გეებნები კარგი ამბავია! და მერე როგორი, რომ იცოდე?

საქო. (გამოდის) ჰა, გამარჯობა! აბა ერთი დაფქვი რა ამბავია?!

სარქ. რაღა რა ამბავია! აი წაიკითხე (აძლევს გაზეთს „აშხატავორს“).

საქო. (სინჯავს) „აშხატავორია?“ ხათა ეს არის, რომ სომხური გაზეთიდან კარგათ ვერა ვგებულობ.

სარქ. შე ოხერო, მაშ რის დაშნაკი ხარ, თუ სომხურ გაზეთს ვერ წაიკითხავ.

საქო. ე, ერთი ხელი აიღე შენცა და! წინათ სად იყო ეს კაზეთები? სულ ქართული იყო. ერთი მითხარ, თელავში რომელი დაშნაკის გაზეთები იყო! სომხური ლაპარაკიც ძლივს ვისწავლე, არამც თუ წავიკითხო! წაიკითხე ნუ ღარ მაწვალებ რა სწერია. (აძლევს).

სარქ. ისა სწერია, რომ ჩვენი დაშნაკები და ქართველების სოციალისტები შერიგებულან.

საქო. (გაკვირვებით) როგორ თუ შერიგებულან? დავა არ ექნებათ? მაშ ეს ბორჩალო, ახალციხე, ჯავახეთი?!

სარქ. საქმეც ეგ არის, რომ სადავო აღარა გვაქვსრა. ეხლა სულ ჩვენია: ბორჩალო და სხვებიც. უფრო მეტიც.

საქო. როგორ თუ მეტიც! ეს ქალაქიც.

სარქ. შენ ცოტა მოიცა, ეგებ ეგრეც იყვეს. ამ

დღეებში ჩვენებსა და ამათ აქ სამი დღე დიდი შერიგების სოვეტი ჰქონიათ. ბოლოს ,,ოზურში სასწორი ჩვენსკენ გადმოწეულა.

საქო. შენ პირს შაქარი სარქისჯან!

სარქ. ეს ბორჩალო ხომ ჩვენია და ჩვენი. ახარ რაც ჩვენ სომხეთს რამე დასჭირდებათ, საქართველოს რკინის გზით უნდა გადაიზიდოს.

საქო. მართლა, კაცო?

სარქ. მართლა მაშ! თუმცა ისიც სწერია, რომ სომხეთის გზითაც უნდა საქონელი თავისუფლათ შემოვიდესო, მაგრამ ეს ისე თვალების ასახვევათ რაღა! თორემ ერთი ეს მითხარი, იქიდან რა უნდა შემოზიდონ!—ჩვენი ბეეენცეები? იმდენი ზიდონ სანამ მოეწყინებათ. ჩვენ კი ყველაფერს შეეზიდავთ.

საქო. ვა... ვა... რა კარგათ მოუხერხებიათ და! აი ეხლაკი მართლაც და კარგი ამბავი მითხარი. ეხლავ ხაშზე გავგზავნი ბიჭს და დაგპატიჟებ, (უძახის ბიჭს) წადი ბიჭო! სოლოუასთან ჩაირბინე, ორი პორციი რიგიანი ხაში გამოგზავნეთქო. მოიცა. უთხარი კახური არაყიც გამომიგზავნე ორი სტაქანითქო. აბა მალე!

სარქ. ფილოსოფოსი ხარ საქოჯან, ფილოსოფოსი. ახირ შენც რა კარგი რამ მოიგონე და! ხაში ნივრით! იფ... იფ!..

საქო. მაშ რა გეგონა? შემო დუქანში (შედიან).

ალ. ბაქრაძე.

1919 წლის სახელოვნო ქრონიკა.

წარსულ წელს ჩვენმა ხელოვნებამ წინ წაიწია.

კონსერვატორიაში სიმღერა. მაგ. სახელმწიფო თეატრის სცენაზე დიდგა სამი ორიგინალური ოპერა: არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთველზე“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და ვეკ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, ბერეთელ თარგმნილი ოპერა რუბინშტეინისა „დემონი“.

დადგმა და აღსრულება დამაკმაყოფილებელი იყო.

კონსერვატორიის კაშირის დახმარებით ქართველმა სიმღერა სახოგადოებამ დაარსა კანელა არაყიშვილის და დანოვსკის ხელმძღვანელობით. კანელამ ითოგზაურა დასავლეთ საქართველოში, სადაც თითქმის ყველა კუთხეში გამართა ერთვნული კონცერტი. ეხლა საქართველოს შუამავალ ითმაყოს, რომ ჭეყვს ეგრეთვე ბემოზე შემდგარი გუნდი.

საუნელურად შემადგენლობა კანელისა, ბარდ ბეჟეების, თითქმის არა ერთვნულია, მაგრამ იმედია დაბოდოს მიიღებს ერთვნულ სახესა ქართველ მომღერალდა მიღებით, რომელთა რიცხვი არც ისე მცირეა.

იმავე კაშირის ხარჯით შესდგა ქართული საოპერო სტუდია სტოლეარამანის ხელმძღვანელობით.

სახელმწიფო თეატრში უკვე დასდგა: „თქმულება შოთა რუსთველზე“. ამზადებს ფალიაშვილის, ბოგანაშვილის და სხ. ოპერებს.

დრამის დარგში ძალიან ცოტა გაკეთდა. სეზონი 1919 წ. დასწყისს მიმდინარეობდა სახელმწიფო თეატრში, მაგრამ ადმინისტრაციასთან კონფლიქტის გამო დასი ქუჩაში დარჩა. დასდგა ამ ოდად რამოდენიმე ორიგინალური პიესა: შოუკაშვილის „მთის ზღაპარი“, დ. ქანჩელის „ტარიელ ბოლოკა“, გედევანიშვილის „სინათლე“ 1 და 2 ნაწ.

ეს თეატრად დარჩენილი მსახიობნი თამაშობდენ ქართულ კლუბში. ახალ პიესებში აღსანიშნავია ტრ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“.

ქუთაისში დრამის საქმე უფრო უკეთეს პირობებში იმეოფება.

ეს მეორე წელია, რაც აქ მოდგაწეობს დახი ა. იმედაშვილის მეთაურობით.

აღსანიშნავია დრამატიული სტუდია, რომელიც არსებობს ეროპერეტეთა კაშირის ხარჯითვე. მან დასდგა: „თეორი ვახშმი“, „ჭანელე“, „სარწმუნოება“, „ვითა ფოთლეა“...

სახალხო სახლის სცენაზე ინტერნაციონალი მეფობს. ორიგინალური პიესები ნაკლებად სჩანს, ძალა კი შესწევთ.

სახალხო ეუდიტორიები ფარფოდ მეშაობენ.

გასულ წელს დაარსდა რამდენიმე თეატრი და სტენის მოყვარეთა წრე: საქართველ. რკ. გზის კეკნძის, საკანგეტო ბათალიონის და სხ.

გასასხლეს მეშაობა ახალციხის, ბათუმის და სხვ. დრ. წრეებმა.

მხატვრობის დარგში — ბროფესორია.

ორმა კამოფენამ გვაჩვენა, რომ საქართველოს შეუძლიან იამაყოს იმისთანა მხატვრებით, როგორიც არიან: ფიროსმანიშვილი, კანაშვილი, მრეველიშვილი, ერისთავი, მამა-შვილი თოიძეები, გეფალიშვილი, შეკერდანაძე, ქექოძე და სხვ.

მოქანდაკეობა მძიმეულ მიდის. აქამდე მნიშვნელობის ცენტრი ნიკოლაძესა და ბეაურელზეა.

შეტი არ იქნება ვთქვათ, რომ საზღვრა მხატვარ-მოქანდაკეობის სასწავლებლის დაარსება.

ლიტერატურა?—აი აქ რეგრესია.

ფუტურისტები მეშაობენ, მაგრამ უშედეგოდ. რეალისტების თითქმის საფანელი შემოაკლდათ. საზღვრა ახალი მამართულება, სახოგადოების სწეურია ეს, თუმცა სტილი და ფორმა მოშეტის შესაფერია.

სამეცნიერო ქრონიკაში აღსანიშნავია კარლეტვლეება: ნინო ორბელიანისა, ცანელის, ლალიონის, სულხანაშვილის, ვ. ლიდაშვილის, ვ. სალაშვილის და სხ.

საზეიმო ქრონიკაში—იუბილე არაკეოსბერეულის, ბარნოვის, ნინო ჩხეიძის...

ქართლ — იმერელი.

ცხრა ძმა

1905 წ. მიწურულს, როცა რეაქცია იმარჯვებდა, ჩვენში მუშებმა გადასწყვიტეს იარაღით წინააღმდეგობა გაეწიათ. შესდგა წითელი რაზმი, რომლის წარმომადგენელათ ითვლებოდა სანდრო მაისურაძე. თავ-დაცვა დაიწყო ნაძალადევიდან. წითელი რაზმის შტაბის განკარგულებით სადარაჯოთ ქრისტეშობ. 17 გაიგზავნა ვასო წყ. სუხიშვილი 15 კაცით აღმოსავლეთ ნაძალადევის დასაცავად. დილის 4 საათზე 18 დეკემბერს შემოვიდა ნაძალადევში ერთი ბათალიონი ჯარის კაცი ორი ზარბაზანით და ტყვიის მფრქვეველებით; მასთანავე რამდენიმე ასეული ყაზახ-დრაგუნი გარს შემოერტყა გენ. გრიაზნოვის ხელმძღვანელობით. ვ. სუხიშვილმა იმ წამსვე აცნობა სანდრო მაისურაძეს და თავისი რაზმით სამხრეთისკენ დაიწია შუაგულ საქალაქო (ხუდადოვის სახელობის) ბაღში სტრადეგიული მოსაზრებით. ამით ჩავარდა ჯარის შუაგულ რკალში. საქმის ასე დატრიალების გამო რაზმის უფროსმა გადასწყვიტა ცოცხლები არ დანებებოდენ მტერს, ყველამ ფიცი დასდო არ ეღალატნათ. ამის შემდეგ გაარღვიეს რკალი და გარედ გა-

1) რაზმის უფროსი ვასო წყალ. სუხიშვილი, 2) გალ. ძაგნიძე, მისი თანაშემწე, რომელიც-მძიმეთ დაიჭრა ორ ალაგას, 3) მ. ტიტვინიძე 4) ელ. გაგნიძე, 5) ლუკა ელბაქიძე, 6) მარცვალოვი და 7) ვ. კაპანაძე. მხოლოდ სერგო მარცვალოვი დაიპირეს ერთი თვის შემდეგ და მოსთხოვეს, გაეცა საიდუმლოება. მაგრამ მან არავინ გასცა, თუმცა ცხელი რკინებით აწამეს და ამ წამებაში მოკვდა. ვასო კაპანაძე გარდაიცვალა 1919. წ. ავადმყოფობით დასაფლავებულია გვარდიელების ძმათა სასაფლაოზე ნაძალადევში, დანარჩენები დღესაც ცოცხლები არიან და ემსახურებიან რესპუბლიკის განმტკიცებას და გამაგრებას.

აქვე მოვიხსენიებთ, რომ რაზმის უფროსი ვასო წყ. სუხიშვილი, სახალხო მატარებლის ორთქლმავლის მემანქანე, არც შემდეგ ჩამოშორებია რევოლიუციის საქმეს: მონაწილეობდა არსენალის აღების დროს, გორში, ცხინვალში... ვ. ჯუღელის მიერ დანიშნული შარშან ქუთაისში და თელავში ხელმძღვანელობდა ტყვიის მფრქვეველთა რაზმს. მამაცობისთვის დაჯილდოვებულია...

ძველი ამხანაგი

მოვიდნენ. ამ ბრძოლაში მოჰკლეს 9 ამხანაგი: 1) ვასო თვარაძე, 2) გიორგი ელიავა, 3) მინა კალაძე. 4) ჯაში, 5) ტუხა ლაზარიშვილი (მუხრანელი), 6) დვალი, 7) ილიკო ჭელიძე, 8) პეტრე ცინცაძე და 9) ვანო ხუციერაული. ესენი დაასაფლამეს ძმათა სასაფლაოზე ნაძალადევში. ცოცხლები გადარჩენ

თეატრი—მუსიკა—მხატვრობა

(მეხეთის დედა) ქალაქ ახალციხეში ნოემბრის 11 ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრემ დადგა ა. ცაგარელის „ხანუმა“ ახალციხის სასწავლებლების დარბაზ მოწაფეთა სასარგებლოთ.

დიდი ხანია ახალციხის ქართველ საზოგადოებას არ უნახავს, არ მოუსმენია შშობლიურ ენაზე წარმოდგენა, არ დამტკბარა სულიერ-ზნეობრივი სიზრდოთი და, აი, 11-ს ნოემბ. ა წ. კვლავ ინეტარა.

აღსანიშნავია სცენის მოყვარეთ: დ უდიდესი და ენერგიული შრომა.

ქალ. ერემაშვილი სამ უნაკლოდ შეასრულა ხანუმას როლი, იგი თურმე დიდი ხანია ეწყვა მსახიობის მძიმე უღელს და ცნობილი ეოფილა დაბა სურამში —(სურამელი სომეხია, შამით იოანესიანი)

სუცხოვოთ იყო აკოფას როლში არ. ჯინჯველაძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოება ბევრი ატირა. მისი დაქცია, შიმეკა დახუდოვნებულ მსახიობს მოგვაგონებდათ. ჯინჯველაძე ბერველად კამოდის ხელნაზე მას სასტენი ნაჯი აქვს და იქედა დიდ სახელს მოიგებს, თუ ერთგულად მოგვიდების ხელს ამ საქმეს.

ლამაზად დაგვისურათა ტიმოთეს როლი ლუკა ხეცაშვილმა.

დ ნ...ჩენებიც: შ. ბაიბურთელისა, ხეცაშვილის, ბეინაცკისა, გ. ჯინჯველაძე, ბერძენი და დ. ფილიპ. ხელს უწყობდნენ საკეთო ინსპექტორს.

საერთოდ წარმოდგენამ საუცხოოდ ჩაიარა, მაუხელეთ წვიმიანი ღამის, სიბნელისა და ჯოჯოხეთური ტალახისა, ხალხი მაინც დიდძალი დასწრო, ბიდეუბეი სულ კიეიდა და დიდი თანხა დარჩა.

წარმოდგენის შემდეგ კარმართა ცეკვა, იყო სხვა და სხვა გასართობებიც და მუსიკა.

ზემო აღნიშნულ სტენის მოყვარეების კარდა დიდ მადლობის დირსნი არიან ნონა დიდიმაშვილისა და წარმოდგენის გამგე არტემ ქერამაშვილი, რომელთაც დიდი შრომა მიუძღვით.

სასიხარულოდ წარმოდგენის დიდი ძალი ქართველი საზოგადოება დასწრო:, იგი არ შეუშინდა სიცივეს, სიბნელეს და ტალახს, რათა შშობლიურ ხელოვნების ტაძარში სულიერად დამტკბარიყო დღიური ცხოვრებით დატანჯული.

ამ მოგონებას ჩვენმა „პატარა მსახიობებმა“ ანგარიში უნდა გაუწიონ და კვირაში ერთხელ მაინც დასდგენ წარმოდგენა, მხოლოდ ჩვენ მისაწვდომ ფასებში; მაშინ ეს ჩვენი მხარე, სამშობლო შოთა რუსთაველისა, ეს საქართველოს სიბრძნის აკვანი შესხეთი [illegible] [illegible] [illegible]

— **ქართველ მწერალთ სარდაფი ქიმერიონი** გასულ შაბათს გაიღო. სარდაფი მოსატულია ახალ ყაიდაზე, უცხო იერით, ბრჭყვინავ ფერებით, კედლები დაუხატნია მხატ. სუდეიკინს, ვ. გუდიაშვილს, კაკაბაძეს, ვალი შვესკის. შაბათ ღამეს დამსწრე მწერალთ შემდგენელობას ნადიმი ჰქონდა; მეორე დღეს მოწვეულ იყვნენ უცხოთა წარმომადგენლნი და მთავრობის წევრნი. ქიმერიონის მოიჯარადრეა მაჩაბელი.

— **ივ. ელიაშვილის** თხზულება „სამშობლო ბუნების სარკე", რომელის პირველი გამოცემა სრულიად გაყიდა, მეორედ იბეჭდება და მოკლე ხანში გასასყიდათ გამოვა. წიგნი მოწონებულია ქ. შ. წ. გ. ს. კომისიისგან როგორც სავალდებულო წასაკითხი წიგნი, „დედა ენის" მეორე ნაწილის შესწავლის შემდეგ.

— **პარიზიდან დაბრუნებულმა** გაბრიელ ჟურკჩიშვილმა, რომელიც საზღვარ გ. 1ა,წ. ცხოვრობდა, ქართველ მწერალთ კავშირს შესწირა 25,000 მ.

— **პროფ. შალვა ნუცუბიძე** გამოსაცემად ამზადებს თავის შრომას „ფილოსოფიის შესავალი". წიგნი 300 გვ აღემატება.

— **ივანე ასკურავამ დასწერა** 4 მოქ. დრამა „ბავი არშია", პროლოგით. პიესა წაიკითხეს თბილისში და ქუთაისში მწერალთ წრეებში, რომელთაცპიესა ძლიერ მოიწონეს. ახალგაზრდა მწერალი სწერს პიესებს „თეთრი ყორანი"-ს და „დილის ლანდები"-ს.

— **მხცოვან მსახიობს** კოტე ყიფიანს მთავრობამ თვიურად 2,000 მან. პენსია დაუნიშნა.

— **ნინო ყიფიანის** ნაწერების გამოცემას ამ მოკლე ხანში შეუდგებიან.

— **თამარ ვახვახიშვილმა** დასწერა „ბაკის დღესასწაული" და „სპარსული პონტომიმა". ავტორით ვახვახიშვილი ეროპ. განათლებითა, სამუსიკო ცოდნა მიიღო ნიკოლაევთან. ეს ნაწერი მოეწონათ, ამ მოკლე ხანში დაიდგმის სახელმწიფო თეატრში.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტში** სულიკო ჩიხლაძის თარსნობით შესდგა სტუდენტთა დრ. წრე. იქვე შესდგა მომღეარი გუნდი შალვა მოკრავშვილის თაოსნობით. სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტთან არსებული სალ.-სამეცნიერო წრე დროგამოშვებით მართავს ლექციებსთვის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებად. წრის თავმჯდომარეა ს. აბულაძე, მისი ამხ. ვ. გორგაძე წრეს ხელმძღვანელობს პროფ. აკ. შანიძე.

— **დაარსდა მუსიკალური წრე,** რომლის მიზანიც: გავარჯიშება ორკესტრულ და სიმფონიურ ნაწარმოებში ახალგაზრდა მემუსიკეებისა.

— **კ. გერგესელმა დასწერა** ორიგინალური ფსიხოლოგიური დრამა „პირველი გრძნობა" 3 მოქმედებად.

— **სვ. წერეთლის პიესები** „მეორედ მოსული" და „კომისარიატში", დაიდგა თბილისის სახალხო აუდიტორიებში.

— **მხატვრები** ლ. გ ...ია შვილი და დ. კაკაბაძე მთავრობის ხარჯით საზღვარ გარედ (პარიზს) გაგზავნენ სამხატვრო უმაღლეს კურსებზე.

— **ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"-ს** ათის წლის შესრულების სახსოვრად გამოვა საგანგებო ნომერი, განსაკუთრებულ კომისიის რედაქციით; აგრეედე გაიმართება სამხატვრო-სალიტ. საღამო იანვრის შუა რიცხვებში.

— **ეფ. მესხს** შეუსრულდა 35 წ., რაც ქართულ სცენაზე მოღვაწეობს.

— **„ჯეჯილი"-ს არსებობის** ოცდაათის წლის შესრულების სახსოვრად 11 იანვარს გაიმართება დილა.

— **მომავალ ნომრიდან** „თეატრი და ცხოვრება"-ში დაიწყება ბეჭდვა გრ. ყიფშიძის წერილ-ს „ეასილი ბარნოვი".

— **მსახიობ ეტ ხარაზაშვილის** 35 წ. სცენის მოღვაწეობის იუბილეს ამ მოკლე ხანში გაიმართება ბათუმში.

— **დემოკრატიულ კლუბში** დასდგმელად შ. ბერიშვილი ამზადებს კ. გერგესელის პიესას „გზა—ჯვარედინზე" და „ნიღაბ ქვეშ"-ს.

— **გოლია** ს. ჯიბლაძის პიესა დაიდგა დ. სუფსას, აცანასა და სხ.

— **ახალი პიესები** დასწერეს: სვ. წერეთელმა „ლაკია და ბატონი", კომედია 4 მოქ. სომხ.-ქართველთა ურთიერთობიდან; „დამნაშავე სიყვარული", დრ. 4 მოქ. ბელ თავადიშვილთ ცხოვრებიდან; ტიტიკო მგელაძემ—„მოძღვარი" (ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან); ლ. ძიძიგურიმ—„ნიშნობა", დრ. 5 მოქ. (გერშვინისა, თარ. ; იოსებ იმედაშვილმა—„გვარდიელი". დრ. 2 სურ., ამოთეოზით. გვ რდიელთ ცხოვრებიდან; კ. რატიშვილმა—„ოქროს კარიანი".

— **სახალხო გვარდიის** სარტილერიო ბრიგადის პირველმა საშთო ბატარეამ მოაწყო სამკითხველო ბატარეას დამაარსებლის ვალიკო შარაშიძის სახელობაზე, რომელიც დიღმა ბორ-ჩალოში შეტაკების დროს. ბატარეამ გვარდიელს ბესარიონ მუტაშიძეს მიანდო წარმოდგენა გამართოს საბურთალოს მუშათა კლუბში, ხსენებულ სამკითხველო კლუბის სასარგებლოდ.

— **საგანგებო ბათალიონის** და საინჟინერო გუნდის კულტურულ-განმანათლებელ სექციაში ახალი არჩევნები მოხდა. არჩეულია 21 კაცი

— **მეფუტკრეობა** ბერტრანისა, რომელიც ციხეში სთარგმნა ლ. ცაგარელმა, ცალკე წიგნად იბეჭდება.

— **წერილი რედ. მიმართ:** ბ-ნო რ-ო! ნება მიბოძეთ, თქვენის პატივცემულ-ს ჟურნალის საშუალებით გულიანადი მადლობა გამოვუცხადო ექიმს მოსე დავითის-ძე სიმხოვიჩს, რომელმაც სრულიად უფასოდ მიმკურნალა და განკურნა კიდეც მძიმე ავადმყოფობისაგან (ინიაზისგან).

ძველი სცენის მოყვარე **ლიზა ვაშაკიძე.**

— **მსახიობთა დღის** საპატიოებისთვის სახ. გვ. მთავარმა შტაბმა დაუთმო ერთი ავტომობილი და ოთხი ცხენი, ხოლო ქ. შ. წ. ს—ბამ ასი თუმანი შესწირა.

— **მსახიობთა კავშირის** მიერ პროვინციაში გაიგზავნა მსახ. ვ. ჯაქია დაბ.-სოფელში მომუშავე სცენის მოღვაწეთა დასახმარებლად.

— **ნეკროლოგები** ნ. სულხანიშვილის, კ. ლოდაშვილის და ვ. საათაშვილის შესახებ შემდეგ დაიბეჭდება.

— **რედაქციისგან.** ტეხნიკური მიზეზით ამ ნომერში ვერ მოთავსდა რომანი „განახლებული სიცოცხლე" (გაგრძელება—უმაღლესი კრების თათბირი). მარიამ წინამძღვრიშვილის მოთხრობა „საახალწლო სუფათი" და სხვ.

— **ქ. მოურავის ბენია ჩხიკვიშვილის სახელობის** მილიციის სამკითხველოს გაღებაში აღ. თეთრაძე 19 იანვარს დაგვეხმარა ნივთიერად და შრომით, ამხ. აკ. კაბიანმა შეოსწირა 100 მან., ვლ. ყანდარელაძა რუს.-ქართული წიგნები, კ. გულიაშვილმა—თავისი ნაწარმოები, რისთვისაც მათ მადლობას ვუძღვნით.

სამკითხველოს გამგე **ვ. როინიშვილი.**



აი, ასე ერთსულოვნად მუშაობენ ჩვენი რეჟისორები სამშობლო თეატრის საუბ...საუბ...ბედნიეროდ!..

მოწოდება

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ გამოდის მხოლოდ თანამგრძნობელ—მკითხველთა ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებით. ვისაც სურს ჟურ. წესიერად გამოდიოდეს, ნივთიერადაც უნდა დაეხმაროს. ჟურნალის საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად შემოწირულება მიიღება რედაქციაში. **რედ.**

შემოწირულება

„თეატრი და ცხოვრება“-ს ფონდის გასაძლიერებლად მივიღეთ: სოფიო კალანდარაშვილისგან—100 მან., ექ. მოსე ანთ. კალანდარაშვილისგან—100 მ., ოლღა გაბუნიას ხსოვნის აღსანიშნავ დ უანობისგან—250 მ., გიორგი პეტრეს-ძე გალაშვილისგან—50 მ., ჯ. ვშნიან მატარებელთა რაზმისგან დ. გოგუაძის ხელით—345 მ. 73 კ., (შემომწირველთ სიას შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ)., დიმიტრი ხმიადაშვილისგან (მეჯვრისხ.ვიდან)—20 მ., მ. აბრამიშვილის და ვ. წილოსანის თაოსნობით არსენალში გამართულ წარმოდგენიდან—645 მ., მეორე უბნის კომისარის ახალდიანისაგან (თანახმად კომისიის დადგენილებისა)—370 მ.

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით.

რედაქცია.

დაიბეჭდა და იყიდება

მერი

სატყვები გ. ტაბიძის, მუსიკა მასენესი, სიმღერა ვ. ჯერარიძის, გამოცემა ნ. დეკირბაშვილისა.

ფასი 15 მან.

1—1

ქართველ მსახიობთა კავშირის თაოსნობით.

1920 წ. იანვრის 2

საქართველოს ყველა თეატრსა და სცენაზე გაიმართება

მსახიობის დღე

1—1

პირველხარისხოვანი რესტორანი

შამპანი

ამბ—ბა ძმათა კერესელიძების და ბაქრაძეთა

(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)

ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი. რესტორანში უკრავს საგანგებო ორკესტრი.

(წლიური)

განცხადებანი მიიღება ჟურნალში დასაბეჭდ. **ფასი ზომიერია.**

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.